საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №84/04
2025 წლის 31 მარტი

ქ. თბილისი

„კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის №92/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის №92/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 23/06/2017; ს/კ: 220020000.18.011.016245) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჭ“ ქვეპუნქტი:

„ჭ) საკრედიტო გადაფასების კორექტირება – „კონტრაჰენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 31 იანვრის №8/04 ბრძანების შესაბამისად განსაზღვრული მაჩვენებელი.“.

2. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ“ ქვეპუნქტი:

„ლ) საკრედიტო გადაფასების კორექტირება ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის №15.2 ცხრილის შესაბამისად.“.

მუხლი 2

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2025 წლის 1 აპრილამდე უზრუნველყოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული, ამ ბრძანებით გათვალისწინებული ანგარიშგების ფორმის განახლება.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის
პრეზიდენტი **ნათელა თურნავა**